ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)
წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში
თბილისი, საქართველო, 2 მაისი, 2014

ანგარიში მომზადებულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაციის მიერ. დელეგაციის მიზანი იყო: 15 ივნისის ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადების ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება; ზოგადი პოლიტიკური გარემოს ანალიზი; იმ ფაქტორების შესწავლა, რომელსაც საარჩევნო პროცესზე გავლენის მოხდენა შეუძლია; და რეკომენდაციების გაცემა, რომლებიც მშვიდობიანი, სანდო არჩევნებისა და პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით წარმოებული დიალოგისა და ნდობის განმტკიცებას ემსახურება.

<u>დასკვნა</u>

საქართველოში კვლავაც სახეზეა დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები. თუმცა კვლავ რჩება პრობლემატური საკითხები, რომელთაც, შესაბამისი რეაგირების გარეშე, ამ წარმატების დაჩრდილვა შეუძლია.

ამომრჩევლებმა ნდობა გამოუცხადეს 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, რასაც ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება მოყვა. ქვეყანაში არსებული ზოგადი პოლიტიკური გარემო პლურალიზმით და აქტიურობით ხასიათდება. 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი არჩევნების მოახლოვებასთან ერთად საარჩევნო ადმინისტრაცია სანდო პროცესის ჩასატარებლად მზადყოფნაშია, ხოლო საკანონმდებლო ჩარჩო, დახვეწის საჭიროების მიუხედავად, ამისთვის მყარ საფუძველს იძლევა. ხელისუფლებამ ცალსახა პირობა დადო, რომ ხელს შეუწყობს საარჩევნო კამპანიის სამართლიანად და ღიად წარმართვას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქართველი ხალხის წვლილი აღნიშნული წარმატების მიღწევაში.

მიუხედავად ამისა, პოლარიზებული გარემო კვლავ პრობლემად რჩება. ხშირია პოლიტიკური ოპონენტების დელეგიტიმიზაციის და კრიმინალიზაციის მცდელობები. სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარი კვლავ ბუნდოვანია. პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის ბრალდებები სხვა მხრივ ცოცხალ პოლიტიკურ გარემოს ჩრდილს აყენებს. მიუკერძოებელი მმართველობის, კამპანიის კონსტრუქციულად წარმართვის, ოპონენტებისა და უმცირესობების უფლებების დაცვის და ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების პატივისცემის დამკვიდრების პასუხისმგებლობა ახლა საქართველოს ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ლიდერებს ეკისრებათ.

დელეგაცია მიიჩნევს, რომ დამატებითი ნაბიჯები შეუწყობს ხელს ამ და მომდევნო არჩევნების სამართლიანობისა და სანდოობის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებას.

ეს ნაბიჯებია:

- საარჩევნო კანონმდებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შემდგომი დახვეწა
- მერების, გამგებლებისა და საკრებულოს წევრობის თანამდებობებზე ქალთა კანდიდატურების წარდგენა
- ძალადობისა და ზეწოლის აღკვეთა
- პოლიტიკურად მოტივირებული სამართლებრივი დევნისა და დაკითხვებისგან თავის შეკავება
- უმცირესობების უფლებების პატივისცემა; და
- ადგილობრივი საჯარო სამსახურის პროფესიონალიზმის განმტკიცება.

დემოკრატიის შემდგომი განვითარება კვლავაც ქვეყნის საერთაშორისო ინტეგრაციისა და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის საუკეთესო შანსს წარმოადგენს. ადგილობრივი არჩევნები ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაღრმავების, გაფართოვებისა და ინსტიტუციონალიზაციისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა.

<u>დელეგაციის შესახებ</u>

დელეგაციის წევრები არიან: პერ ეკლუნდი, ყოფილი ელჩი და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი; სემ გეჯდენსონი, აშშ–ის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ყოფილი წევრი და NDI–ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; რობერტ ადამსი, არჩევნებისა და დემოკრატიის საკითხებში საერთაშორისო ექსპერტი Electoral Reform International Services (ERIS)–სა და Democracy Reporting International (DRI)–დან; ლორა ჯუიტი, NDI–ის ევრაზიის რეგიონალური პროგრამების დირექტორი და ლუის ნავარო, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი.

28 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით დელეგაცია შეხვდა: კანდიდატებს, პოლიტიკურ პარტიებს და საარჩევნო კამპანიების წარმომადგენლებს; ცენტრალური საარჩევნო კომისიას (ცესკო); პრემიერ მინისტრს; იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს; ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს; პარლამენტის წევრებს; მედიის წარმომადგენლებს; საერთაშორისო ორგანიზაციებს და დიპლომატიურ კორპუსს და სამოქალაქო სექტორს. დელეგაცია საქმიანობდა საქართველოს კანონმდებლობის და 2005 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ აღიარებული *არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის*[1] საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. NDI ერთ–ერთია იმ 47 მთავრობათაშორის და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას შორის, რომელიც აღნიშნულ დეკლარაციას შეუერთდა. NDI არ აპირებს, ჩაერიოს საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესებში და ასევე არ აპირებს და არც შეუძლია საარჩევნო პროცესის საბოლოო შეფასება. NDI მიიჩნევს, რომ არჩევნების სანდოობასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას საბოლოოდ საქართველოს

[1] დეკლარაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: ndi.org/files/DoP-ENG.pdf

მოსახლეობა შეაფასებს. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშს დელეგაცია საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების მხარდაჭერის და გაძლიერების სულისკვეთებით წარმოადგენს.

NDI-ის მოსაზრებები ასევე ეყრდნობა ქვეყანაში NDI–ის მიმდინარე საქმიანობას და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (სამართლიანი არჩევნები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია), საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველოს (TI), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI), საერთო სამოქალაქო მოძრაობა–მრავალეროვანი საქართველოს (PMMG) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) გრძელვადიან სადამკვირვებლო ძალისხმევას. აგრეთვე NDI საქართველოში მოავლენს გრძელვადიან ანალიტიკოსთა ჯგუფს, რომელიც დელეგაციის წინასაარჩევნო დასკვნებს დაეყრდნობა და საქართველოში ადგილობრივი არჩევნების დასრულებამდე დარჩება. არჩევნების დღეს IRI-ს მოკლევადიანი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია დააკვირდება.

დელეგაცია მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელმაც დააფინანსა დელეგაციის საქმიანობა და რომელიც შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოსთან (Sida) ერთად მხარს უჭერს NDI-ის დემოკრატიის გაძლიერების პროგრამებს საქართველოში.

დელეგაცია ასევე მადლიერია მათი, ვინც დრო დაუთმო შეხვედრებს და თავისუფლად გამოხატა შეხედულებები საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით. მუშაობის პროცესში და ანგარიშის მომზადებისას დელეგაცია სწორედ მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნო. NDI გამოხატავს მზადყოფნას, განაგრძოს დემოკრატიული პრაქტიკის, ინსტიტუტებისა და ფასეულობების დასამკვიდრებლად და შესანარჩუნებლად საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერა.

<u>პოლიტიკური კონტექსტი</u>

2014 წლის 15 ივნისს ამომრჩეველი საქართველოს 71 ადგილობრივი მმართველობის ორგანოს აღმასრულებლებსა და კანონმდებლებს აირჩევს, მათ შორის: საკრებულოს 2088 წევრს, ასევე 12 ყველაზე მსხვილი ქალაქის მერებს და დანარჩენი 59 მუნიციპალიტეტის გამგებლებს.

საარჩევნო კოდექსში მარტში მიღებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს ისტორიაში პირველად ყველა მერი და გამგებელი პირდაპირ წესით აირჩევა. აქამდე პირდაპირი წესით მხოლოდ თბილისის მერი აირჩეოდა; ყველა სხვა მერს/გამგებელს შესაბამისი საკრებულო ნიშნავდა. საკრებულოს არჩევნები კვლავ შერეული – პროპორციული და მაჟორიტარული – სისტემით ჩატარდება. შესაბამისად, ზემოხსენებული ცვლილება ამომრჩეველს უფრო მეტ საშუალებას აძლევს, თავად გადაწყვიტოს, თუ ვინ მართავს მის თემს.

ამავდროულად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა გაზარდა (64–დან 71–მდე), ისევე, როგორც მათი ფინანსური რესურსები და უფლებამოსილებები. შესაბამისად, ამ ცვლილებებით უფლებამოსილებების ნაწილი ცენტრს ჩამოშორდა და ამ უფლებამოსილებების განხორციელებისას ადგილობრივი

ხელისუფლების ანგარიშვალდებულება გაზარდა.

2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა დემოკრატიული პროცესების კარგი განვითარების ტრაექტორია დაამკვიდრა. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა არჩევნებმა ამ სტანდარტებს კიდევ უფრო გადააჭარბოს. ეს პირველი არჩევნები იქნება იმ გარემოში, სადაც პარლამენტი, მთავრობა და პრეზიდენტის ადმინისტრაცია კოალიცია ქართული ოცნების მმართველობაშია. შესაბამისად, ეს არჩევნები კარგ შესაძლებლობას აძლევს მმართველ გუნდს, დაამტკიცოს, რომ ერთგულია გამჭვირვალე არჩევნების, ოპოზიციის უფლებების დაცვის და დემოკრატიული პროცესების ხელშემწყობი უფრო ღია პოლიტიკური გარემოს შექმნის.

არჩევნები ასევე კარგი საშუალებაა პარტიებისთვის, განაახლონ მხარდამჭერთა რიგები, ხოლო ამომრჩეველს პოლიტიკური არჩევანის დაფიქსირების ახალ შესაძლებლობას სთავაზობს. პარტიები და კანდიდატები, რომლებიც საკითხებზე დაფუძნებულ კამპანიას წარმართავენ, ამომრჩევლების თვალში საკუთარ პოზიციებს გაამყარებენ.

არჩევნების შედეგების გავლენა ცდება მერების, გამგებლების და საკრებულოს წევრების თანამდებობების დაკავებას. საკრებულოს პარტიული სიით არჩევნების შედეგები განსაზღვარს, თუ რომელი პარტია მიიღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რომელ პარტიას ექნება წვდომა სატელევიზიო ეთერზე მომდევნო, 2016 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების დროს.

სამწუხაროდ, პოლიტიკური გარემო საქართველოში კვლავ ძალიან პოლარიზებულია. პოლიტიკურ გარემოს ძირითადად ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის არსებული დაძაბულობა განსაზღვრავს, რასაც საქართველოს მომავლის შესახებ უფრო კონსტრუქციული განხილვებიდან ყურადღება გადააქვს. შეხვედრებისას დელეგაციამ ამ პოლიტიკური დაპირისპირების ქვეყნის მართვაზე გავლენის ნიშნები შეამჩნია. დელეგაციამ მრავლად მოისმინა დაუსაბუთებელი განცხადებები შესაძლო დანაშაულების შესახებ, რომელიც, ერთი შეხედვით, პოლიტიკური ოპონენტების დელეგიტიმიზაციისკენ არის მიმართული. ადგილობრივი არჩევნები ამ დინამიკის მიღმა გადასვლის შესაძლებლობას გვთავაზობს.

NDI–ის წინა მისიების მსგავსად, დელეგაცია კვლავ ხედავს უმცირესობების უფლებების უგულვებელყოფის ელემენტებს. როგორც აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ ანგარიშშია აღნიშნული, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური და კულტურული ბარიერები კვლავ რჩება. რამდენიმე რელიგიურმა უმცირესობამ მათი შეკრების უფლების შეზღუდვის და ასევე მათი დევნის მიმართ ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი რეაგირების შესახებ აღნიშნა. უმცირესობის ბევრი წარმომადგენელი კვლავ არ ფლობს ქართულ ენას, რაც არჩევნებში მათ მონაწილეობას ართულებს.

დელეგაციის მოსაზრებით პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტის განხილვა წარმოადგენს მმართველი გუნდის გულწრფელ ძალისხმევას, რომელიც

საქართველოს კონსტიტუციით და სხვა საკანონმდებლო აქტებით უკვე დაცული უფლებების განმტკიცებას ისახავს მიზნად.

ეს არჩევნები იმ ფონზე ტარდება, როცა საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში პარტიული კუთვნილება და აფილიაცია მკვეთრად შეიცვალა. საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველოს ცნობით, 2012 წლის ოქტომბერსა და 2013 წლის მარტს შორის პერიოდში ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე 5000–ზე მეტი საჯარო მოხელე გაათავისუფლეს ან გადადგა. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში უმრავლესობით იყო წარმოდგენილი. ახლა, სამი მუნიციპალიტეტის გარდა, ყველას თვითმმართველობას ქართული ოცნება ხელმძღვანელობს. ზოგიერთ შემთხვევაში თანამდებობის პირებმა პარტიული კუთვნილება ნებაყოფლობით შეიცვალეს ან თანამდებობა ნებაყოფლობით დატოვეს. სხვები თანამდებობის იძულებით დატოვებაზე საუბრობენ. ეს არჩევნები ამომრჩეველს ადგილობრივი ხელისუფლების ლიდერების არჩევის უფლებას დაუბრუნებს.

ღია, კონსულტაციური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური მმართველობის გზით ახლადარჩეული მერები, გამგებლები და საკრებულოს წევრები საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციას შეუწყობენ ხელს, ისევე, როგორც კეთილდღეობას და საქართველოს ევროპულ და ევრო–ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, რისკენაც ისწრაფვიან საქართველოს მოქალაქეები.

<u>დელეგაციის დაკვირვებები და რეკომენდაციები</u>

არჩევნების შეფასება კონტექსტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ნებისმიერი არჩევნების ზუსტი შეფასებისთვის მხედველობაში საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტი უნდა მივიღოთ, მათ შორის: 1) საარჩევნო კანონმდებლობით შექმნილი პირობები; 2) წინასაარჩევნო პერიოდი, როგორც კამპანიის დაწყებამდე, ისე მისი მიმდინარეობისას; 3) კენჭისყრის პროცესი; 4) ხმის მიცემის პროცედურა; 5) შედეგების დათვლა და შეჯამება; 6) საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა; და 7) ახალი ხელისუფლების ფორმირების პირობები.

ქვემოთ მოცემულია წინასაარჩევნო დელეგაციის დაკვირვებები პროგრესის თაობაზე, ასევე რეკომენდაციები შესაძლო გაუმჯობესებებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება 15 ივნისის არჩევნებამდე განხორციელდეს, და დამატებითი წინადადებები საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით.

<u>საკანონმდებლო ჩარჩო</u>

7 მარტს პარლამენტმა სარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო, რომელსაც განსხვავებული შეფასებები მოჰყვა. ზოგადად აღნიშნული ცვლილებები ხელს უწყობს დემოკრატიულ საარჩევნო პროცესებს, თუმცა რიგი დებულებებისა 15 ივნისის შემდეგ დაუყოვნებლივ, თუ არა უფრო ადრე, გადახედვას საჭიროებს.

დელეგაცია დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ კანონმდებლობაზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფში შედიოდნენ როგორც საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიები, ისე დამკვირვებლები სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. თუმცა პროცესში მონაწილე ზოგიერთი მხარის განცხადებით, რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მმართველი გუნდის წევრებს სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ გააჩნდათ, რამაც სამუშაო ჯგუფის ეფექტიანობა და მისი, როგორც პროცესისადმი ნდობის გასამყარებლად მიმართული მექანიზმის, პოტენციალი შეამცირა.

ზოგიერთმა ცვლილებამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ცვლილებების მიხედვით კანონი ადგენს ფინანსურ წახალისებას პარტიებისთვის, რომლებიც საკრებულოში მანდატების მოსაპოვებლად პარტიულ სიებში ქალი კანდიდატების გარკვეულ რაოდენობას წარადგენდნენ, რაც გენდერული თანასწორობის მისაღწევად მნიშვნელოვანი ბიძგია. მერებისა და გამგებლების არაპირდაპირის ნაცვლად პირდაპირი წესით არჩევა ზოგადად აღიქმება, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი იმისთვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები საკუთარი ამომრჩევლის წინაშე უფრო ანგარიშვალდებული გახდეს. კანონით საარჩევნო ბარიერი მერებისა და გამგებლების არჩევისთვის 50% პროცენტით განსაზღვრა (წინათ თბილისისთვის იყო 30%). დელეგაციასთან შეხვედრებისას პროცესში ჩართულმა რამდენიმე მხარემ მაღალი ბარიერის დაწესება დემოკრატიული შეჯიბრებითობის გაზრდისკენ მიმართულ ნაბიჯად შეაფასა, რადგან აღნიშნული ცვლილებით პირველ და მეორე ადგილზე გასულ კანდიდატებს შორის არჩევნების მეორე ტურის ჩატარების ალბათობა იზრდება. ახალი ცვლილებებით საკრებულოებში პროპორციული წესით არჩევისათვის საარჩევნო ბარიერი 5%–დან 4%–მდე მცირდება, რაც ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში მრავალპარტიულ წარმომადგენლობას უწყობს ხელს. პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსება უფრო ხელმისაწვდომი გახდა. აგრეთვე ახალი დებულებები არაკვალიფიციურ პარტიებს აძლევს შესაძლებლობას, საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო დაფინანსება მიიღონ.

ამავდროულად, „სამართლიანი არჩევნების“, საიასა და საერთაშორისო გამჭირვალობა–საქართველოს განცხადებით, აღნიშნული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს ერთი ხმის თანასწორობის პრინციპის და ხმების რაოდენობის მანდატების რაოდენობაში პროპორციულ ასახვას.

ზოგიერთმა ცვლილებამ შეშფოთება გამოიწვია. კანონი ადგენს, რომ მერობის/გამგებლობის კანდიდატების წარდგენა, განსხვავებით საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში არსებული სხვა არჩევითი თანამდებობებისა, მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ და არა ცალკეულ პირებს ან საინიციატივო ჯგუფებს. სამართლიანმა არჩევნებმა და საიამ აღნიშნული დებულება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა, რადგან, მათი აზრით, ეს დებულება საქართველოს კონსტიტუციის მე–14, 26–ე, 28–ე და 29–ე მუხლებს ეწინააღმდეგება. როგორც ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მონაწილე სახელმწიფომ, საქართველომ თავის თავზე აიღო კოპენჰაგენის დოკუმენტის მე–7 (5) მუხლის შესრულების ვალდებულება, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს, პატივი სცენ მოქალაქეების უფლებას ყველანაირი დისკრიმინაციის გარეშე დაიკავონ ნებისმიერი პოლიტიკური ან საჯარო თანამდებობა,

როგორც ინდივიდუალურად, ისე როგორც პოლიტიკური პარტიისა ან ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მერები და გამგებლები პირდაპირი წესით აირჩევიან, ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსის თანახმად, საკრებულოებს აქვთ უფლებამოსილება, პირდაპირი გზით არჩეულ თანამდებობის პირებს სიითი შემადგენლობის ორი მესამედით უნდობლობა გამოუცხადონ. ახალი კანონი იმპიჩმენტისა და არჩეული მანდატის გაუქმების საფუძვლებს არ განსაზღვრავს. ეს დებულება მერებისა და გამგებლების ანგარიშვალდებულების გარკვეულ ნაწილს ამომრჩევლიდან კვლავ საკრებულოებს უბრუნებს, რაც პირდაპირი საარჩევნო წესის მნიშვნელობას ამცირებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსი ასევე შეიცავს ნორმას, რომლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეები არჩევნების შემდეგ მოვალეობის დროებით შემსრულებლები გახდებიან. ამან მმართველობის განხორციელების შეფერხებისა და საჯარო მოხელეების ცხოვრებაზე ამ ნორმის გავლენის შესახებ გარკვეული კითხვები წარმოშვა. ასევე გააჩინა აღქმა, რომ ხელმეორედ დანიშვნები შესაძლოა, პოლიტიკური ნიშნით მოხდეს. აღნიშნული დებულება პარტიების უმრავლესობასა და ხელისუფლების ზოგიერთი ლიდერს შორის არაპოპულარული იყო, თუმცა შესაძლო შედეგების აღმოსაფხვრელად ჯერ–ჯერობით არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა. საერთაშორისო გამჭირვალობა–საქართველომ, სახალხო დამცველმა და თბილისის მერიის თანამაშრომლებმა აღნიშნული დებულება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს. როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის და ევროკავშირის ერთობლივი „მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერის“ პროგრამა (OECD-EU SIGMA) განსაზღვრავს, სტაბილური, პოლიტიკურად დამოუკიდებელი და კომპეტენციის საფუძველზე დაკომპლექტებული საჯარო ადმინისტრაცია მნიშვნელოვანი ევროპული სტანდარტია. დელეგაციას სურს, საქართველოსთვის სტაბილური, კომპეტენციაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის გრძელვადიან სარგებელს კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი.

საერთო ჯამში, აღნიშნული დებულებები დამკვირვებლების ნაწილს უტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ზოგადად მოსაწონი რეფორმის ფარგლებში მმართველი გუნდი პოლიტიკური გარანტიების შექმნას ცდილობს.

<u>რეკომენდაციები:</u>

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკომ), პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელონ ყოვლისმომცველი სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლების პროგრამები, რათა მოქალაქეებმა ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთარი უფლებები და პასუხისმგებლობები გაითავისონ
- საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ ყველა ინფორმაცია შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა ან ცესკომ სრულად, გამჭვირვალედ და ობიექტურად გამოიძიონ, ხოლო დარღვევები კანონის სრული სიმკაცრით დაისაჯოს

- 15 ივნისის შემდეგ პარლამენტმა უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის საფუძვლიანი გადახედვა თანამშრომლობისა და ინკლუზიური პროცესის გათვალისწინებით, რათა ყველა დარჩენილი საკანონმდებლო ხარვეზი აღმოიფხვრას, მათ შორის: ერთი ხმის თანასწორობის პრინციპი, დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის მერის და გამგებლის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა, პირდაპირი წესით არჩეული მერებისა და გამგებლების მიმართ უნდობლობის გამოცხადებისთვის მკაფიო და მაღალი სტანდარტის დაწესება
- პარლამენტმა გაატაროს კომპეტენციაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ყოვლისმომცველი რეფორმა, რათა უზრუნველყოს საჯარო მოხელეების უწყვეტი დასაქმება არჩევნების შედეგების მიუხედავად და მიიღოს ნორმები, რათა თავიდან აიცილოს არჩევნების შემდგომ საჯარო მოხელეების სამსახურიდან მასობრივად განთავისუფლება.

<u>საარჩევნო ადმინისტრაცია</u>

ცესკოს და მისი თავმჯდომარის დამოუკიდებლობა და კომპეტენცია ფართო ნდობას იმსახურებს. დღემდე არჩევნებისთვის მზადება შეუფერხებლად მიმდინარეობს. კომისიის თავმჯდომარემ გამოხატა შეშფოთება იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რასაც ისინი აწყდებიან 3 617 საარჩევნო უბანზე 48 000 კვალიფიციური კადრის შერჩევის პროცესში. პრობლემის აღმოსაფხვრელად კომისია ჩაატარებს ოთხდონიან ტრეინინგებს, მათ შორის არჩევნების დღის სიმულაციას საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრისთვის.

თუმცა დელეგაციასთან შეხვედრებისას მხარეებმა გამოხატეს წუხილი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის განმსაზღვრელ ფორმულასთან დაკავშირებით. თითოეული კომისია 13 წევრისგან შედგება, რომელთაგან შვიდი პოლიტიკური პარტიების მიერ არის დანიშნული და ექვსი ზემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ პროფესიული ნიშნით შერჩეული არაპარტიული წევრია (ცესკოს შემთხვევაში პარლამენტის მიერ არჩეული). კანონი განიმარტა ისე, რომ კოალიცია ქართულ ოცნებაში შემავალ ექვს პოლიტიკურ პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში თითო წევრის ყოლის უფლება მიეცა, რის შედეგადაც კოალიცია პარტიებისთვის გამოყოფილი შვიდი წევრიდან ექვსს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ეს შემადგენლობა ტექნიკურად გამართულია, შედეგად ვიღებთ კომისიებს, რომელშიც ერთი საარჩევნო სუბიექტი არაპროპორციულადაა წარმოდგენილი და სხვა საარჩევნო სუბიექტებს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა, საარჩევნო კომისიებში არც ერთი წარმოამდგენელი არ ყავთ. ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა აქტიური ადვოკატირება გაწიეს იმისთვის, რომ მოხდეს ამ წესში ცვლილების შეტანა, რათა გაიზარდოს ნდობა კომისიების დამოუკიდებლობის მიმართ.

<u>რეკომენდაციები:</u>

- ცესკომ უზრუნველყოს საჩივრების სწრაფი, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი განხილვა.
- 15 ივნისის შემდეგ პარლამენტმა გადასინჯოს ფორმულა, რომლის მიხედვითაც ხდება საუბნო და საოლქო კომისიების დაკომპლექტება, რათა უზრუნველყოფილი

იყოს უფრო თანაბარი წარმომადგენლობა და მრავალფეროვნება წამყვან თანამდებობებზე.

ქალთა მონაწილეობა

პარტიულ სიებში ქალი კანდიდატების წარდგენისთვის ფინანსური წახალისების მექანზსმების შემოღება საარჩევნო კანონმდებლობაში მისასალმებელი წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს წარმოადგენს ლოგიკურ წინსვლას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს წარმოდგენილი მსგავსი ინიციატივის შემდეგ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქალთა წარმომადგენლობის ზრდამ პარლამენტში, ასევე, პირველად 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ქალი კანდიდატის მიერ ბარიერის გადალახვამ, ცხადყო რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, გახდეს ლიდერი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის კუთხით.

წინასაარჩევნო პერიოდის ამ ეტაპზე ლეიბორისტულმა პარტიამ წარმოადგინა თბილისის მერობის ქალი კანდიდატი. დელეგაცია იმედოვნებს, რომ სხვა პარტიებიც წარმოადგენენ ქალ კანდიდატებს. ცესკოს ინიციატივა, აწარმოოს კანიდატების და ამომრჩევლების აქტივობის გენდერული სტატისტიკა მნიშვნელოვანი ნაბიჯია მომავალ არჩევნებში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის.

<u>რეკომენდაციები:</u>

- პარტიებმა მაქსიმალურად გამოიყენონ საარჩევნო სიებში ქალი კანდიდატების წარდგენისთვის განკუთვნილი ფინანსური წახალისების მექანიზმები
- პარტიებმა დაასახელონ მეტი ქალი კანდიდატი მერობისა თუ გამგებლის თანამდებობაზე იმ ქალაქებსა თუ მუნიციპალიტეტებში, სადაც პარტია კონკურენტუნარიანია.

საარჩევნო კამპანიის გარემო

პარტიებმა დაიწყეს კანდიდატების დასახელება პრაიმერების და პირდაპირი ნომინირების გზით. კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადაა 16 მაისი. ცესკოს მიერ მერობის და გამგებლობის კანდიდატების დარეგისტრირების ვადა 22 მაისს იწურება, ხოლო პარტიული სიების – 23 მაისს. ოპოზიციის წარმომადგენლების ნაწილმა დელეგაციასთან შეხვედრისას გამოთქვა იმედი, რომ პარტიებსა და კანდიდატებს მიეცემათ შესაძლებლობა თავისუფლად და ხელის შეშლის გარეშე აწარმოონ კამპანია. ნაწილმა კი ისაუბრა კამპანიის დროს განხორციელებულ ზეწოლასა და ძალადობაზე, როგორც ახლო წარსულის, ისე 2012 და 2013 წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ძალადობა

საარჩევნო გარემოში ზეწოლის შთაბეჭდილებამაც კი შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პარტიის აქტივისტებსა და ამომრჩეველზე. ,,სამართლიანმა არჩევნებმა''

დააფიქსირა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ძალადობის ოთხი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი პარლამენტარის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ერთი შემთხვევა. ,,სამართლიანი არჩევნების'' მიერ გაჟღერებულ ყველაზე სერიოზულ სავარაუდო დარღვევებს შორისაა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარლამენტის წევრის ნუგზარ წიკლაურის ცემა და გატაცების მცდელობა და თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავასთვის კვერცხების სროლა მას შემდეგ, რაც ამ უკანასაკნელმა დატოვა სასამართლოს შენობა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ეს ინციდენტები წარმოადგენდა ზეწოლის სისტემატურ მცდელობას მათ კანდიდატებსა და მხარდამჭერებზე ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე და გავლენა იქონია პარტიის შესაძლებლობაზე, წარემართა წინასაარჩევნო კამპანია.

წერილობით განცხადებაში ქართული ოცნების ლიდერებმა განაცხადეს, რომ ,,დაუშვებელია საზოგადოებაში დაგროვილი აგრესიის ძალადობრივი მეთოდებით გამოხატვა.'' იუსტიციის მინისტრმა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (უწყებათაშორისი კომისია) თავმჯდომარემ ხელახლა გამოსცა 2013 წლის სექტემბრის რეკომენდაციები, რომლითაც მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, არ დაუშვან მათი აქტივისტების მიერ სხვა პარტიების კამპანიის ღონისძიებების ხელის შეშლა. ასევე მოუწოდა ადგილობრივ ხელისუფლებას, უზრუნველყონ მათი თანამშრომლების ინფორმირება საჯარო მოხელეების მიერ კამპანიაში მონაწილეობის წესების შესახებ და შინაგან საქმეთა სამინისტროს, გაატაროს ყველა შესაძლო ღონისძიება აქციებზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს ნაბიჯები მისასალმებელია და უნდა გამყარდეს კონკრეტული ქმედებებით საჭიროების მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს შეკრების თავისუფლებას. ამ უფლების განხორციელების წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ მცდელობას, განხორციელებულს მოქალაქეების ან მოქალაქეთა ჯგუფის მიერ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეთანმხებული ქმედებებით უნდა უპასუხონ. საჯარო მოხელეებს, პარტიის აქტივისტებსა და კანდიდატებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ჩაატარონ წინასაარჩევნო კამპანია ზეწოლისა თუ ფიზიკური ხელყოფის საფრთხის გარეშე.

ყოფილი თანამდებობის პირების სისხლის სამართლებრივი დევნა და დაკითხვა

კანონის უზენაესობის პატივისცემასთან ერთად აუცილებელია თავიდან იქნას აცილებული შერჩევითი სამართლის როგორც არსებობა, ისე მის შესახებ შთაბეჭდილება. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო მიდგომაა დამოუკიდებელი და სანდო სასამართლო სისტემაში ინვესტირება და იმის უზრუნველყოფა, რომ ამა თუ იმ საქმის შეფასება არ გაცდება სასამართლო სისტემას და არ მოხდება მისი განხილვა მიკერძოებულ კონტექსტში აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო შტოების მიერ.

სამართლიანობის აღდგენის შესახებ ქართული ოცნების წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, ხელისუფლებამ წამოიწყო გამოძიებების სერია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებებსა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევებზე. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, წინა ხელისუფლების დაახლოებით 90 თანამდებობის

პირი დააპატიმრეს ან წამოიწყეს გამოძიება მათ წინააღმდეგ და პარტიის მრავალი აქტივისტი დაკითხეს. ქართველი და საერთაშორისო დამკვირვებლების ნაწილი ამ გამოძიებებს პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს. ეს შთაბეჭდილება შესაძლოა გაამყაროს საჯარო დისკურსში ჭარბად არსებულმა დაუსაბუთებელმა ბრალდებებმა დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ.

,,სამართლიანმა არჩევნებმა'' რამდენჯერმე გამოხატა შეშფოთება ადგილობრივ თვითმმართველობებში ოპოზიციონერი თანამდებობის პირების დაპატიმრების შესახებ არჩევნებამდე ასე ცოტა ხნით ადრე. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, ამ დაკავებებმა მათ მიერ კანდიდატების შერჩევის პროცესზე მოახდინა გავლენა. 14 აპრილს პრემიერ მინისტრმა გამოაცხადა მორატორიუმი იმ პირთა ,,უფლებების კანონიერი შეზღუდვისა და დაკავების'' შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში, დასაბუთებული და გადაუდებელი აუცილებლობის გარდა. ეს დირექტივა უნდა შესრულდეს როგორც შინაარსის, ისე სულისკვეთების შესაბამისად.

<u>რეკომენდაციები:</u>

- ძალოვანმა უწყებებმა დაიცვან შეკრების თავისუფლება და უზრუნველყონ საკმარისი დაცვა ძალადობის თავიდან ასაცილებლად
- პოლიციამ, პროკურორებმა და მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევებში (მაგ. არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობა) გამოყენებული სანქციები დარღვევის პროპორციული იყოს და ემსახურებოდეს მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენციას
- პოლიტიკურმა ლიდერებმა მკაცრად დაგმონ საკუთარი მომხრეების მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები და ინციდენტების გამოძიების მიზნით სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრობლობისკენ მოუწოდონ
- პოლიტიკურმა ლიდერებმა თავი შეიკავონ დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ დაუსაბუთებელი ბრალდებების გაჟღერებისგან. ეს განსაკუთრებით ეხება თანამდებობის პირებს
- პარტიებმა საარჩევნო კამპანიის ყველა მონაწილისთვის შეიმუშაონ, გამოაქვეყნონ და დაიცვან პარტიის ქცევის კოდექსი.

<u>ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება</u>

ოფიციალური საარჩევნო კამპანია ახლახანს დაიწყო. შესაბამისად, ნაადრევია იმის შეფასება, თუ რამდენად აქტუალური იქნება ამ არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება. წინა არჩევნებში სახელმწიფოს ძალოვანი, სამართლებრივი, ინსტიტუციური, ფინანსური და მედია რესურსების არასათანადოდ ან მიკერძოებულად გამოყენებამ ბევრი საჩივარი წარმოშვა. NDI-ის წარსულში გაკეთებული რეკომენდაციების თანახმად, საჭიროა, უკეთესად გაიმიჯნოს სახელმწიფო და კამპანიის რესურსები.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით NDI მიესალმება ხელისუფლების წარმომადგენლების ხელახალ დაპირებას, თავიდან აიცილონ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების გამეორება; მათ შორის აღსანიშნავია ამ საკითხზე უწყებათაშორისი კომისიის სამინისტროებისადმი მიმართული რეკომენდაცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) მიერ ქცევის კოდექსის მიღება მისი ყველა თანამშრომლისთვის, რომელიც საარჩევნო გარემოში მათ შეზღუდვებს და მოვალეობებს განსაზღვრავს.

<u>რეკომენდაციები:</u>

- სამინისტროებმა, შსს-ს მსგავსად, განიხილონ ქცევის კოდექსის მიღების შესაძლებლობა, რომელიც ასახავს უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებს. ქცევის კოდექსი მკაცრად უნდა იყოს დაცული ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის თანაბარი გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად
- დარღვევების შესახებ ყველა შეტყობინება სრულად, გამჭვირვალედ და ობიექტურად იყოს გამოძიებული და ყველა დარღვევა კანონის სრული დაცვით დაისაჯოს.

<u>ამომრჩეველთა სია</u>

წინა არჩევნების მსგავსად ცესკო ადგენს ამომრჩევლეთა სიას სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისგან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით. დელეგაციასთან შეხვედრებისას ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ ისაუბრა საარჩევნო სიასთან დაკავშირებულ შესაძლო უზუსტობებზე, რაც უკავშირდება, მაგალითად, საზღვარგარეთ მცხოვრებ პოტენციურ ამომრჩევლებს, უმისამართო და ისეთ ამომრჩევლებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია არ მოიპოვება რეესტრში. ამომრჩეველთა სია ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში. სია ასევე წარმოდგენილი იქნება უბნებზე, სადაც ამომრჩევლებს საკუთარი მონაცემების გადამოწმების საშუალება ექნებათ. საარჩევნო კანონმდებლობაში წარმოდგენილი ახალი ცვლილებების შედეგად, სიას თანდართული ექნება ამომრჩეველთა ფოტოები. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, წამოიწყო პროექტი, რომლის მიზანი საარჩევნო სიებში გაორებების იდენტიფიკაცია და აღმოფხვრაა. ამ ინფორმაციის გაზიარება მოხდება საარჩევნო ადმინისტრაციასთან. საარჩევნო სიაზე თანდართული ფოტოები საშუალებას მისცემს საუბნო საარჩევნო კომისიას, მოახდინოს ამომრჩევლის ვიზუალური იდენტიფიკაცია.

ადამიანების თავისუფალი გადაადგილების პირობებში ამომრჩეველთა მონაცემების სიზუსტე დამოკიდებულია თავად ამომრჩეველთა ნებაზე, დარეგისტრირდნენ შესაბამის საკონსულოში. ქვეყნის გარეთ მყოფი ადამიანების მიერ ხმის მიცემის უფლება წარმოშობს ასეთი მიმართვიანობის შესაძლებლობას.

<u>რეკომენდაცია:</u>

- მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ზუსტი, განახლებული რეგისტრაცია ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც დაეფუძნება ამომრჩევლის სამოქალაქო სტატუსს და საცხოვრებელ მისამართს და წარმოადგენს

ღია, მდგრად და ზუსტ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო შესაძლებლობას. ასევე მნიშვნელოვანია, მოხდეს რეგისტრაციისთვის არამიზანშეწონილი ბარიერების მოხსნა და მონაცემების განახლება. ასევე მთავრობამ უნდა შემოიღოს წახალისების მექანიზმები რეგისტრაციისა და მონაცემების განახლების პროცესისთვის.

<u>მედია გარემო</u>

საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ კვლავ მიმდინარეობს დაპირისპირება, რამაც, შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის შესაძლებლობაზე, მიუკერძოებლად გააშუქოს საარჩევნო პროცესი. პოლიტიკურ მიკერძოებულობასთან დაკავშირებული ბრალდებებისა და საპასუხო ბრალდებების პარალელურად, გენერალური დირექტორი სამსახურიდან გაათავისუფლეს და შემდგომ კვლავ დანიშნეს ამ პოზიციაზე, ხოლო პოლიტიკური გადაცემები გაუქმდა. ასევე სამეთვალყურეო საბჭო გარკვეული პერიოდის განმავლობაში კვორუმის გარეშე იყო დარჩენილი, ახლა კი საჭირო წარმომადგენლობაზე მეტი წევრი ყავს. ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული პროცესები ხელს უშლის საზოგადოებრივ მაუწყებელს, ამომრჩევლებს პოლიტიკური პროცესების თაობაზე სანდო ინფორმაცია მიაწოდოს.

სატელევიზიო არხებმა გააკრიტიკეს მათი აღქმით სახელმწიფოს მცდელობა, ჩარეულიყო სატელევიზიო რეიტინგების შედგენის პროცესში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ ე.წ. ფიფლმეტრების აუდიტის ჩატარების გზით. ტაბულასა და რუსთავი 2–ის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის შემთხვევები დაასახელეს, რომელიც მოიცავდა ჟურნალისტების საჯარო კრიტიკასა და მათზე ზეწოლას და ხელმძღვანელების სისხლის სამართლებრივ დევნას, რაც ოპოზიციური შეხედულებების ჩახშობის მცდელობის შთაბეჭდილებას ქმნის.

<u>რეკომენდაციები:</u>

- ინფორმაცია ჟურნალისტებზე ზეწოლისა ან მათი შეურაცხყოფის ან მათთვის საქმიანობაში ხელის შეშლის შესახებ სრულად და დაჩქარებულად იქნას გამოძიებული და დარღვევა კანონის სრული დაცვით დაისაჯოს
- საზოგადოებრივი მაუწყებელი შეეცადოს, შეინარჩუნოს არჩევნების დაბალანსებული გაშუქება, განსაკუთრებით მმართველობასა და პროგრამებში მიმდინარე ცვლილებების ფონზე.

<u>საარჩევნო კამპანიის დაფინანსება</u>

ადგილობრივი არჩევნებისთვის კამპანია ახლახანს დაიწყო. შესაბამისად, ნაადრევია, შეფასდეს კამპანიის ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცედურები. ოპოზიციურმა პარტიებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის თაობაზე, რომ კერძო კომპანიებს ნაკლებად უჩნდებათ მათი კამპანიების დაფინანსების სურვილი, ვინაიდან გაუთვალისწინებელი არასასურველი შედეგების წინაშე აღმოჩენის ეშინიათ. მიუხედავად იმისა, რეალობას შეესაბამება ეს თუ არა, მათი წუხილი სათანადო ყურადღებას მოითხოვს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კრიტიკის ობიექტი გახდა 2012 წელს უფლებამოსილების

გადაჭარბების, ხოლო 2013 წელს სათანადოდ ვერ შესრულების გამო. პროცესისადმი სანდოობის უზრუნველყოფაში კამპანიის დაფინანსების მონიტორინგის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობისა და კომპეტენციის შენარჩუნება მნიშვნელოვანია.

<u>რეკომენდაციები:</u>

- პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა დაფინანსების წყაროებისა და ხარჯების შესახებ დროული და ზუსტი ანგარიშები წარადგინონ
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კამპანიის დაფინანსების განმსაზღვრელი ნორმები და სანქციები მიუკერძოებლად და თანმიმდევრულად გამოიყენოს.

უწყებათაშორისი კომისია

უწყებათაშორისი კომისია სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის (უწყებათაშორისი კომისია) საჯარო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ საარჩევნო დარღვევებზე რეაგირების მიზნით 2008 წელს დროებით შეიქმნა. 2011 წელს კომისიის სტატუსი კანონმდებლობით განისაზღვრა, როგორც მუდმივმოქმედი ნახევრად–სამთავრობო უწყება, რომელსაც მთავრობისა და პოლიტიკური პარტიებისთვის რეკომენდაციების გაწევის უფლებამოსილება მიენიჭა. 2013 წლის აგვისტოში უწყებათაშორისი კომისია ეროვნული უშიშროების საბჭოდან იუსტიციის სამინისტროში გადავიდა. 12 წევრისაგან შემდგარ ჯგუფში სხვადასხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების მაღალი თანამდებობის პირები არიან წარმოდგენილნი.

საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ოფიციალური საჩივრები უნდა წარედგინოს შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო სამსახურებს, სასამართლოსა და ცესკოს. თუმცა უწყებათაშორისმა კომისიამ შეიძლება შეითავსოს გამჭვირვალე ფორუმის ფუნქცია დარღვევების გადამისამართებისა და თავმოყრისთვის. NDI–იმ და სხვა საერთაშორისო დამკვირვებლებმა წინა არჩევნებისას უწყებათაშორისი კომისია ნდობის ჩამოყალიბებაში მის მიერ შესრულებული როლის გამო გამოარჩიეს. უწყებათაშორისმა კომისიამ ხელახლა გამოსცა რეკომენდაციები, რომელიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ საარჩევნო კანონმდებლობის არსებულ ზოგიერთ დებულებას აზუსტებს. უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე კომისიის ფუნქციად მიიჩნევს საარჩევნო სუბიექტების ცნობიერების ამაღლებას სახელმწიფოსა და საარჩევნო პოლიტიკის გამიჯვნის თაობაზე, რაც მისასალმებელია. თუმცა ზოგიერთმა მხარემ გამოხატა წუხილი იმის თაობაზე, რომ უწყებათაშორისი კომისია არ წარმოადგენს სავარაუდო დარღვევების შესწავლის ეფექტურ ინსტრუმენტს, გადაამისამართებს რა მათ შესაბამის უწყებებში ან გამოსცემს რეკომენდაციებს. ასევე აღინიშნა, რომ კომისიის განხილვები უფრო პოლიტიზირებულია, ვიდრე კონსტრუქციული.

<u>რეკომენდაციები:</u>

- საზოგადოებას მიაწოდოს რეგულარული და ყოვლისმომცველი ინფორმაცია ყველა იმ საარჩევნო საჩივრის შესახებ, რომელიც რეაგირებისთვის გადასცა შესაბამის უწყებას, მათ შორის მიღებული საჩივრების ტიპების მიხედვით დაჯგუფებული ინფორმაცია და სტატუსი
- განაგრძოს ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს ყველა დონეზე მოქმედი საჯარო მოხელეების სრულყოფილი ინფორმირება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული ნორმების თაობაზე და ყველა დარღვევის სათანადო სანქცირება.

<u>**არჩევნებზე დაკვირვება**</u>

მთავრობა, პარლამენტი და საარჩევნო ადმინისტრაცია მიესალმა არჩევნებზე დაკვირვების როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სადამკვირვებლო მისიებს. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული საარჩევნო პროცესებში მონიტორინგის, ადვოკატირებისა და ამომრჩეველთა ინფორმირების კუთხით. მაგალითად, ,,სამართლიანი არჩევნები'', საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და საერთო სამოქალაქო მოძრაობა–მრავალეროვანი საქართველო აგზავნიან გრძელვადიან დამკვირვებლებს და პარალელურად ეყოლებათ ათასობით მოკლევადიანი დამკვირვებელი საარჩევნო უბნებზე მთელი ქვეყნის მასტაბით. ,,სამართლიანი არჩევნების'' მიერ მოხდება პარალელური ხმების დათვლა (PVT) მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის თბილისის მერის არჩევნებზე.

<u>რეკომენდაცია:</u>

- ყველა საერთაშორისო და ადგილობრივმა დამკვირვებელმა იმოქმედოს *საერთაშორისო არჩევნებზე დაკვირვების პრინციპების დეკლარაციისა* და *მიუკერძოებელი საარჩევნო დაკვირვების და სამოქალაქო ორგანიზაციების მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაციის* შესაბამისად.